განკარგულება:**გ-47.47220895**
თარიღი:**30/03/2022**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N14

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზომლეთში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N28.07.22.511 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობაში, თანდართული პირველი და მეორე სართულის გეგმის მიხედვით, არსებული 246.13 კვ.მ. ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61– ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტების, 122-ე მუხლის მე-1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზომლეთში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N28.07.22.511 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობაში, თანდართული პირველი და მეორე სართულის გეგმის მიხედვით, არსებული 246.13 კვ.მ. ფართის ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო დაწესებულება მომავალისათვის“ საქართველოს კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“ გათვალისწინებული სარგებლობის უფლების ფორმით (უსასყიდლო უზუფრუქტი), უვადოდ, გადაცემის თაობაზე.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი